

მანანა ბუკია

კომპოზიტური არსებითი სახელების წარმოებისათვის აფხაზურ და ადიღურ ენებში¹

წარმოქმნის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ნებისმიერი ენისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. სხვადასხვა ენაში კომპოზიციის თავისებური წესები არსებობს, განსხვავებულია კომპოზიტებში კომპონენტების შეერთების საშუალებები, მაგრამ თავად კომპოზიციის პრინციპი თითქმის ყველა სისტემის ენაში ერთია: ხდება ფუძის რედუქლიკაცია, ან ორი ან ორზე მეტი სიტყვის შეერთება. კავკასიურ ენების სახელის კომპოზიცია, მიუხედავად ცალკეული წარმატებული ცდებისა, მონოგრაფიულად, მითუმეტეს შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით არ გამოკვლეულა.

აფხაზური კომპოზიტებს განიხილავენ თავიანთ კვლევებში პ. ჭარაია, ბ. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ზღაჟბა, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი.

კომპოზიტების წარმოებისათვის აფხაზურ ენაში რედუქლიციურებული კომპოზიტები

აფხაზურ რედუქლიციურებულ კომპოზიტებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა. მარტივი რედუქლიკაცია – ფუძეები გაორმაგებულია, არ შეიმჩნევა ფონეტიკური პროცესები: ა-ყ^აყ^ა „ზურგი“; ა-ყაფყაფ „ოჩოფეხი“; ა-შ^აშ^აშ^აშ^ა „სასტვენი“; ა-ც^აც^ა „ბურბუშელა“, ა-წ^აწ^ა „ზარი (პატარა)“; ხუს-ხუს „ხბო“ (ბავშვის ენაზე), ა-კ^აკ^აკ^ა „გუგული“, ა-ხ^ააჩა-ხ^ააჩა „შხაპუნი“, ა-ყერ-ყერ „ხარხარი“ ...

ბ. რედუქლიციურებული კომპოზიტის ერთ კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი: ა-ხ^ააჭა-მ^ააჭა „ჭიაღუა, მწერი“ (შდრ. ა-ხ^ააჭა „ხოჭო“), ა-ხ^ააჭა-მ^ააჭა „წვრილმანი“, ა-მახა-მახა „კიდურები“.

გ. რედუქლიციურებულ ფუძეში იცვლება მარცვალი: ა-მათა-ჰეთა „ბარგი-ბარხანა“...

დ. რედუქლიციურებულ ფუძეში ჩართულია თანხმოვანი: ა-ჟ^ამჟ^ა „ჯვალო, ძველმანი“...

ე. რედუქლიციურებულ ფუძეში ჩართულია მარცვალი: ა-რწ^ა-მგ^არწ^ა „მწნილი“...

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR 18-072 პროექტის ფარგლებში

ვ. რედუპლიცირებულ ფუძეს ერთვის მასდარის მაწარმოებელი -რა სუფიქსი: **ა-ბარბარა** „ყბელობა“, **ა-პეიპერა** „პირთამდე ავსება, გაპიპინება“, **ა-ქეხეხრა** „ქვითინი“, **ა-შეშრა** „გამურვა“ (შდრ. მეგრ. **შირშოლი** „გაბინძურება, გამურვა“), **ა-შერ-შერა** „სტვენა“ **ა-ცერცერა** „ბრწყინვა, ციმციმი“ (შდრ. ქართ. **ციმციმი**), **ა-ჭერჭერა** „ჭიკჭიკი“, **ა-ჭელ-ჭელ-რა** „ფინია ძაღლის ყეფა, წკაწკავე“, **ა-ხარხარა** „ჟღარუნი“, **ა-ჰარსჰარსრა** „მსუქანი რამის ან ვინმეს სიარული“... (ამ ქვეჯგუფში ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვები გვხვდება).

ხშირად რედუპლიცირებული ფუძე მრავალგზისობას გამოხატავს: **აყვავ-ყვავ** „მრავალგზის კაკუნი, ბრახუნი“, **აყყყ** :ზედიზედ გასროლის ხმა, ბათქა-ბუთქი“.

2. შერთებითი კომპოზიტები (*composita copulativa*)

აფხაზურ კოპულარულ კომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ერთცნებიანი კომპოზიტები: **ა-პგრპგლჯკა** „დანაყილი წინაკა სანელელებით“ (ზედ. „პიმპილი + მარილი“)...

2. ტოლადშერწყმული ორცნებიანი კომპოზიტები: **ეიში-ეჰში** „დამმა“, **აბი-ფერ** „მამა-შვილი“, **ხაწი-ფჰესი** „ცოლ-ქმარი“...

3. აბსტრაქტულობის -რა სუფიქსდართული ერთცნებიანი კომპოზიტები: **ანხა-ჰკერა** „დედაშვილობა“; **ხაწი-ფჰესრეი** „ცოლქმრობა“...

4. სქესის აღმნიშვნელი **ა-ჟ** („ძროხა, ფური“), **ა-ც** („ხარი“) დართული კომპოზიტები: **ა-ცკამბაშ** „ხარკამეჩი“, **ა-კამბაშც** (ბზ.) „ფურკამეჩი“, **ა-ცბატ** „ხარხაქი“, **ა-ჟკამბაშ** „ფურკამეჩი“; **ა-კამბაშჟ** (ბზ.) „ფურკამეჩი“, **ა-ჟბატ** „ფურხაქი“, **ა-ჟმაყა** „ბებერი ძროხა“, **ა-ჟბატფშქა** „ახალდაბადებული ფურხაქი“, **ა-ჟწორგ** „ბერწი ძროხა“, **ა-ჟფგდა** „ბერწი ძროხა“ (ზედმ. „უშვილო ძროხა“, **(ა)ფა** (შვილი) + **და** უარყოფითი სუფიქსი) (კვარჭია 1981: 12, 28).

5. კოპულარულია პროფესიის აღმნიშვნელი **ა-ხჩა** („მწყემსი“, „მცველი“...) კომპონენტდართული შემდეგი კომპოზიტები: **ა-დექანჩა** „მედუქნე“ (ა-დექან „დექანი“), **ა-ლანჩა** „მეძალე, კურძალი“ (ა-ლან „ძალი“), **ა-ჟნჩა** „მეძროხე“ (ა-ჟ „ძროხა“), **ა-ჟარდგნჩა** „მეურმე“ (ა-ჟარდგნ „ურემი“), **ა-ძლა-გარანჩა** „მეწისქვილე“ (ა-ძლაგარა „წისქვილი“); **ა-ჯმანჩა** „თხის მწყემსი“ (ა-ჯმა „მწყემსი“), **ა-ნგმნჩა** „მენავე“ (ა-ნგმ „ნავი“), **ა-მხგნჩა** „მეველე“ (ა-მხგ „მინდორი“) (ჯანაშია 1954: 100, 172, 374, 449) ქართულში პროფესიის აღმნიშვნელი სახელები დერივაციის საშუალებით გადმოიცემა (მედუქნე, მეძროხე, მეწისქვილე...).

6. სინონიმური კომპოზიტები: **ა-ჩაქაბალ** „ყურძნის სახეობა“, ზედმ. „პური-პური“, (ა)ქაბალ < მეგრ. ქობალი „პური“ (მაჭავარიანი 2006: 126);

ა-შოთკაკჷ „ყვავილი“ (< ა-შოთ „ყვავილი“, (ა)კაკჷ „მინდორის ყვავილი“.

3. განსაზღვრებითი კომპოზიტები (*composita determinativa*)

აფხაზური გამოირჩევა განსაზღვრებითი კომპოზიტების სიმრავლით. ის ლექსიკის ყველა დარგს მოიცავს.

ბრუნების სისტემის უქონელი აფხაზური ენა განსაზღვრებითი კომპოზიტების გადმოსაცემად სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

გაუფორმებელი განსაზღვრებითი კომპოზიტები:

აფხაზურში მრავლად გვხვდება ა-ბნა „ტყე“ კომპონენტის კომპოზიტური არსებითი სახელები: აბნარაჰანა „ველური რეჰანი“ (მაჭავარიანი 2006: 84); აბნარას „ველური თხილი“; აბნატრჷრა „ტევრი“; აბნაწ „მაჟალო, ველური ვაშლი“; ა-ბნც „ხარირემი“ (ზედმ. ტყის ხარი“), აბნაუაჯ „ტყის კაცი, ქაჯი“ (ჯანაშია 1954: 69).

ხის ჯიშების აღმნიშვნელ აფხაზურ ფორმათა უმრავლესობას დართული აქვს ხის აფხაზური სახელწოდება ა-წლა: ა-მჟა-წლა „თუთის ხე“ (< ა-მჟა „თუთა“, ა-წლა „ხე“); ა-ბც-წლა „ზღმარტლის ხე“, ა-თა-წლა „ცაცხვი“; აბიაწლა „კომშის ხე“, ალიმინწლა „ლიმონის ხე“, აწაწლა „ვაშლის ხე“ (აწა „ვაშლი“), აჰაწლა „მსხლის ხე“. ქართულში ამ სემანტიკის სიტყვები შესიტყვებით გადმოიცემა.

უქონლობის „და“ სუფიქსდართული კომპოზიტი:

ა-ცადაყაბაყ „თხელკანიანი გოგრა“ (< ა-ცა „კანი“, და უქონლობის სუფიქსი, (ა)ყაბაყ „გოგრა“), ზედმ. „უკანო გოგრა“ (მაჭავარიანი 2006: 105).

სხვა განსაზღვრებითი კომპოზიტები:

ა-მშგნ-ყგზ „გედი“ (< ა-მშგნ „ზღვა“, (ა)ყგზ „ბატი“), ზედმ. „ზღვის ბატი“; ა-ყარმაწეს „ბულბული“ (< ა-ყარმა „სვია, ფშატი“, ა-წეს „ჩიტი“), ზედმ. „სვიის, ფშალის ჩიტი“. შდრ. ქართ. მეფშატიე, მეგრ. მაფშალია; აცხამგალ „თაფლის მჭადი“ (< აცხა „თაფლი“, (ა)მგალ „მჭადი“; ა-ცაძგ „ცვილის მოხდის შემდეგ დარჩენილი წყალი“ (< ა-ცა „ცვილი“, (ა)ძგ წყალი“; ა-დგკრგნ „ია“ (< ა-დგ „მინდორი“, აკრა „შუქურა“) (მაჭავარიანი 2006: 200).

კუთვნილებით ელემენტდართული კომპოზიტები:

ა-ფეიფა „შვილიშვილი (ვაჟი ვაჟის მხრიდან)“ < ა-ფა „ვაჟი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფა „ვაჟი“, ზედმ.

„ვაჟი მისი ვაჟი“;

ა-ფეიფჰ „შვილიშვილი (ასული ვაჟის მხრიდან)“ < ა-ფჰ „ვაჟი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფჰ „ასული“, ზედმ. „ვაჟი მისი ასული“;

ა-ფჰალფჰ „შვილიშვილი (ვაჟი ქალიშვილის მხრიდან)“ < ა-ფჰ „ქალიშვილი“ -ლ- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ქალის კლასისა, ა-ფჰ „ვაჟი“, ზედმ. ქალიშვილი მისი ვაჟი“;

ა-ფჰალფჰჰ „შვილიშვილი (ასული ქალიშვილის მხრიდან)“ < ა-ფჰ „ქალიშვილი, ასული“, -ლ- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ქალის კლასისა, ა-ფჰ „ასული“, ზედმ. ქალიშვილი მისი ასული“;

ჰაპენრჟ „ყურძნის ჯიში“ (< ჰაპენ „მამაკაცის სახელი“, -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, რჟ „ყურძენი“), ზედმ. „ჰაპინი მისი ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 129);

ა-ჟარჰასკენ „ველური ციკორეა“ (< ა-ჟა „კურდღელი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)ჰასკენ „ბალახი“) ზედმ. „კურდღლის (მათი) ბალახი“ (მაჭავარიანი 2006: 83).

ა-ჰარჰაჰა „მოცვი“ (<ა-ჰა „ღორი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)ჰაჰა „ტკიპა“), ზედმ. „ღორი (მათი) ტკიპა“ (მაჭავარიანი 2006: 52).

ზოგ კომპოზიტი ფუძეები ერთმანეთს მაკავშირებელი ი „და“ ელემენტით უერთდებიან: **აჩე-ი-ჯგვა** „პურ-მარილი“ (< ა-ჩა „პური“, ა-ჯგვა „მარილი“), **აჭე-ი-ჟ** „სხეული“ (< ა-ჭა „ტყავი, კანი“, ი „და“, ა-ჟ „ხორცი“ (გვანცელაძე 2003: 45), **აბ-ი-ფერ** „მამა-შვილი“...

აფხაზური სახელური კომპოზიტი შეიძლება იყოს:²

ა. ორკომპონენტანი:

ალაჰარ-წეს „ბელურა“ (< ა-ლაჰარ „საცეხველი, ჩამური“, ა-წეს „ჩიტი“, ზედმ. „საცეხველის ჩიტი“);

ა-მსგრ-ქაად „პაპირუსი“ (<ა-მსგრ „ეგვიპტე“, ა-ქაად „ქალაქი“, ზედმ. „ეგვიპტის ქალაქი“);

ა-ჩგჰასკენ „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“;

ა-ცგჰასკენ „კატაბალახა“ (შდრ. ა-ცგჰ „კატა“, (ა)ჰასკენ „ბალახი“);

ა-ბჰჰა-წგწნდრა „ხენდრო“ (შდრ. ა-ბჰჰა „ბალი“, (ა)წგწნდრა „ხენდრო“), ზედმ. „ბალის ხენდრო“;

² აფხაზური კომპოზიტის სტრუქტურისთვის იხ. ნ. მაჭავარიანი, 2017)

ბ. სამკომპონენტური:

აზნაზ „ხარირემი“ (< ა-ზნა „ტყე“, ა-ჩა „ცხენი“, ა-ც „ხარი“);
აჟარგც „ყურძნის მარცვალი“ (< აჟ „ყურძენი“, ა-გ „გული“, აც „მარცვალი“);
აჩაგაჟ „ყურძნის ჯიში“ (< ა-ჩა „ცხენი“, (ა)კკა „ძუძუ“, აჟ „ყურძენი“);
ა-ჟცეიმა „ქალამანი“ (< აჟ „ძროხა“, ა-ცა „ტყავი, კანი“, აიმა „წულა“);
ა-ჟკამბაშორე „ბერწი კამეჩი“ (ა-ჟ „ფური“, (ა)კამბაშ „კამეჩი“, (ა) წორე „ბერწი“);
ა-ჩაშემგალ „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (ა-ჩა „პური“, ა-შ
„ყველი“, მგალ მჭადი“ (შაყრილი 1987:417);
ა-ზნაურდკაკალ (აბჟ.) „ქაცვი“ (< ა-ზნა „ველური“, (ა)ურდ „ვარდი“, (ა)კაკალ
„მარცვალი“), ზედმ. „ველური ვარდი(ს) მარცვალი“.

გ. ოთხკომპონენტური:

აჟასარბაჟმე „ყურძნის ჯიში“ (< აჟასა „ცხვარი“, ა-ხ „ბორცვი“, ა(გ)ჟ
„ყურძენი“, (ა)მ, (< შაკაკა „თეთრი“) (მაჭავარიანი 2006: 127).

რთული არსებითი სახელის (კომპოზიტის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი (იშვიათად), რიცხვითი სახელი (იშვიათად), მასდარი ან ზმნის ფუძე.

ა. არსებითი + არსებითი:

ა-გარა-შა „იავნანა“ (< ა-გარა „აკვანი“, (ა)შა „სიმღერა“), ზედმ. „აკვანის სიმღერა“; ა-კინოსაზა „კინოსურათი“ (< ა-კინო „კინო“, (ა)საზა „სახე“), ზედმ. „კინოსახე“; ა-ბერთეფ / ა-ზაერთეფ „მონასტერი“ (< ა-ბერ „ბერი“, ა-თეფ „ადგილი“), ეტიმოლოგიურად „ბერის ადგილს“ ნიშნავს (ბუკია 2013: 47).

ბ. არსებითი + ზედსართავი:

აშმ-ცვა „უამინდობა“ (< აშმ „დღე“-ცვა „ცუდი“), აჩაფშ „ხორბლის სახეობა“ (< ა-ჩა „პური“, (ა)ფშ „წითელი“), ა-თაჟ „სავსე ყურძენი“ (ა-თა „სავსე“, აჟ „ყურძენი“).

გ. არსებითი + რიცხვითი:

აგნტეშგრა (აჟატკა) „ორნახადი (არაყი)“ (< აგნტეშ „ორი“, ტე – დანიშნულების სუფიქსი, (ა)შგრა „დუღილი“), ზედმ. ორჯერ მოდუღებული (არაყი);
აზგკერშგრა (აჟატკა) „ერთნახადი (არაყი)“ (< აზგ „ერთხელ“, კ – განუსაზღვრელობის აფიქსი, (ა)შგრა „დუღილი“), ზედმ. ერთნახადი, ერთხელ მოდუღებული (არაყი)“ (მაჭავარიანი 2006: 51).

დ. არსებითი + მასდარი:

ა-შაყარ „ყლორტი“, „ვაზის რქა“ (< ა-შაპე „ფეხი“, ა-ყარა „ქნევა“), ზედმ.

„ფეხი ამონაყარი“ (ჯანაშია 2010: 22); **ა-ბჩარამზა** „ოქტომბერი“ (<**აბჩარა** „ლომის ცეხვა“, (ა)**მზა** „თვე“), ზედმ. „ლომის ცეხვის თვე“. შდრ. მეგრულში ოქტომბერს **გიმათუთა** აღნიშნავს, ზედმიწევნით ნიშნავს „ლომის ცეხვის თვეს“.

კომპოზიტების წარმოებისათვის ადილურ ენაში

კომპოზიტები ადილური ენის ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ პლასტს წარმოადგენს, ის იცვლებოდა და ვითარდებოდა ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. ბევრი ადილური კომპოზიტი ადილურ ენათა დიფერენციაციამდეა შექმნილი.

ადილური ენის კომპოზიტურ არსებით სახელებს განიხილავდნენ თავიანთ ნაშრომებში ნ. იაკოვლევი, დ. აშხამათი, გ. ტურჩანინოვი, გ. ცაგოევი, რომელთა ნაშრომებში საკითხი განხილულია სინქრონიულ ჭრილში.

პრობლემის დიაქრონიულ სიბრტყეში განხილვის ცალკეული შემთხვევები გვაქვს გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, ა. შაგიროვის ნაშრომებში. საკითხს სპეციალურად ეხება მ. კუმახოვი, ა. აბრეგოვი.

ადილურში, ისევე, როგორც ყველა ენაში, სპეციალისტები გამოყოფენ კომპოზიტთა შემდეგ სახეებს.

1. რედუპლიცირებული სახელური კომპოზიტები

რედუპლიცირებული კომპოზიტები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე მოდელად ჩამოყალიბდეს:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეთა მარტივი გაორმაგებით მიღებული კომპოზიტები, რომლებშიც არანაირი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. ასეთი კომპოზიტები ადილურში შედარებით ნაკლებია: **ღგრ-ღგრ** „თამაშის სახეობა“ (შდრ. **ღგრ** „ხის ბურთი“), **ჯჯრ-ჯჯრ** „ნება, სურვილი“, **ფსგ-ფსგ** „მარლა“... (აბრეგოვი 2000: 151).

კომპოზიტთა ასეთი წარმოება დამახასიათებელია ხმაბადვითი სიტყვებისთვის: **ქგრ-ქგრ** „ინდაური“, **ტგვ-ტგვ** „ფეხსაცმელი“ (ბავშვთა ენაში), **მაყ-მაყ** „ცხვარი“ (ბავშვთა ენაში) (იქვე).

მარტივ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ხშირად ხდება ა/წ ხმოვანთა მონაცვლეობა სემანტიკის ცვლილების გარეშე, მაგ. **ნან/წ** „დედა“, შდრ. **ნანწ დახწ** „ლამაზი დედა“, **მამ/წ** „მამა“, შდრ. **მამწ ცგშ** „ჭკვიანი მამა“. ასეთი კომპოზიტები (ა/წ მონაცვლე) უფრო მეტია, ვიდრე მარტივი, ფორმაუცვლელი თხზული სიტყვები. შდრ. **ლალწ** „ხორცი“ (ბავშვთა ენაში) – **ლა-ფსგ** „ბულიონი“ (< *ლწ „ხორცი“), შდრ. თანამ. ლგ „ხორცი“, ფსგ „წყალი“, **ჯაჯწ** „კვერცხი“ (ბავშვთა ენაში), შდრ. **ჯაჯწწ** „კაკანი“.

ა/წ მონაცვლე რედუპლიცირებული კომპოზიტები ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებში: **ცაც/წ** (< *ცაწა) „ცაცა, ქაქწ“ (< *ქაქწა) „ქვაქვა“, **მამ/წ** (< *მამწა) „მამა“, **ზაზ/წ** (< *ზაწა) „ზაზა“.

ბ. ხმოვნის შეცვლა რედუპლიცირებულ კომპოზიტებში – ადილურ რედუპლიცირებულ კომპოზიტში ხმოვნის შეცვლა ძალზე იშვიათად ხდება. შეიძლება ძირისეული ა/ჲ ხმოვანი შეიცვალოს უ ხმოვნით. ამ შემთხვევაში კომპოზიტი გამოხატავს კრებითობას: **ქაჲ-ჲჲ** (< *ჲჲ) „ტკბილეულობა“, შდრ. **ქაჲ** „ტკბილი“.

გ. ხმოვნის ან თანხმოვნის ამოვარდნა რედუპლიცირებულ კომპოზიტში – რედუპლიცირების დროს ადილურ კომპოზიტში შეიძლება ამოვარდეს პირველი კომპონენტის ხმოვანი ან თანხმოვანი (ძირითადად აუსლაუტის ბგერა): **დადა** (< *დადა) „სათამაშო“ (ბავშვთა ენაში), **ლელელ** (< *ლელელ) საკუთარი სახელი.

დ. კომპოზიტის პირველი კომპონენტის ანლაუტის თანხმოვნის (ან თანხმოვანტკომპლექსის) შეცვლა მეორე კომპონენტში. ასეთი კომპოზიტები ძირითადად ზედსართავ სახელებში გვხვდება და აღმატებით ხარისხს გამოხატავს, მაგ. **დეჲ-რეჲ** „ძალიან მწარე, უმწარესი“, შდრ. **დეჲ** „მწარე“, **ჯაბჲ-ლაბჲ** „ძალიან სუფთა“, შდრ. **ჯაბჲ** „სუფთა“...

არსებით სახელებში ამ ტიპის რედუპლიცირება გვხვდება კრებით სახელებში: **კალ-ლა/ჲ** „ახალგაზრდობა“, შდრ. **კალ** „ახალგაზრდა“, **ჯაბარ-შაბარ** „სიახლეები, ახალი ამბები“, შდრ. **ჯაბარ** „ახალი ამბავი“ და სხვ.

ხშირად რედუპლიცირებულ კომპოზიტში პირველი კომპონენტის ბგერა მეორე კომპონენტში იცვლება ჴ თანხმოვნით და კრებითობას გამოხატავს: **მაჲ-ჲაჲ** „თივა და მისთ.“, შდრ. **მაჲ** „თივა“, **ჲაჲ-ჲაჲ** „ღუმელი და მისთ.“, **ჲაჲ-ჲაჲ** „ნივთები, ხარახურა“, შდრ. **ჲაჲ** „ნივთი“, **ჲაჲ-ჲაჲ** „ავტობუსი და მისთ. ტრანსპორტი“, შდრ. **ჲაჲ** „ავტობუსი“, **შაჲ-შაჲ** „შამსათი და მისი ხალხი, შამსათიანნი“, შდრ. **შაჲ** – საკუთარი სახელი.

თუ კომპოზიტის პირველი კომპონენტი იწყება ა, ა, უ, უა დიფთონგით, მეორე კომპონენტის ჴ იერთებს დიფთონგის ნაწილს, მაგ.: **ააჲ-ააჲ** „ნაკელი და მისთ.“, შდრ. **ააჲ** „ნაკელი“, **ააჲ-ააჲ** „ეგერუხაი და სხვა აულები“, შდრ. **ააჲ** – ეგერუხაი (აულის სახელწოდება)...

როდესაც სიტყვა იწყება ა ხმოვნით, ჴ თანხმოვანი მეორე კომპონენტს ერთვის ყოველგვარი ცვლილების გარეშე: **არჲ-არჲ** „არაყი და მისთ.“ შდრ. **არჲ** „არაყი“, **არჲ-არჲ** „მინა და მისთ.“, შდრ. **არჲ** „მინა“, **არჲ-არჲ** „თხა და მისთ.“, შდრ. **არჲ** „თხა“.

ე. რედუპლიკაციისას პირველი მარცვლის შეცვლა. ამ ტიპის კომპოზიტის წარმოებისას ხდება პირველი მარცვლის შეცვლა. ზედსართავებში ასეთი ტიპის რედუპლიკაცია აღმატებით ხარისხს გამოხატავს, არსებითებში – კრებითობას. მაგ.: **რეჲ-რეჲ** „წვრილმანი“, შდრ. **რეჲ** „პატარა“, **რეჲ-რეჲ** „მღელვარება“, შდრ. **რეჲ** „დარდი“ და სხვ.

ამავე ტიპის წარმოებისას ხმაბამვითი სახელური კომპოზიტები:

კალნ-კუგლ „სისულელე, აბდაუბდა“, კამ-კურთ „სისულელე“.

ვ. რითმული რედუპლიკაცია: ცალკე ჯგუფს ქმნის რითმული რედუპლიკაციით შექმნილი კომპოზიტები: ფცნ-შჷცნ „შიგანი, კუჭმაჭი“, ცნმნ-ფსგმნ „ინსტრუმენტი“.

ზ. ადიდეურ სახელურ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ასევე გამოიყოფა ჯგუფი, სადაც სთული სიტყვის კომპონენტი სემანტიკისაგან დაცლილია და ძირითადად ფონოსემანტიკური ერთეულია: ჭგმ-სგმ „სიჩუმე“, ჭგრდ-სგრდ „ჭრიალი“, წგრ-წგრ „ჭიკჭიკი“.

2. შეერთებითი კომპოზიტები (*composita copulativa*)

შეერთებითად იწოდება ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, რომლებიც ახალ სემანტიკას იძენენ, მაგ. ნაფჷ „სახე“ (< ნჷ „თვალი“, ფჷ „ცხვირი“), ფჷგ-სჷლგ „სხეული“ (< ფჷგ „ძვალი“, სჷ „ტყავი, კანი“, ლგ „ხორცი“), მჷქჷ-მჷშგ „სოფლის მეურნეობა“ (< მჷქჷ „თივა“, მჷშგ ფეტვი“) (აბრეგოვი 2000: 156).

კოპულარულ კომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა. არსებითი სახელების ფუძეების შეერთებით მიღებული კომპოზიტები: ნაფჷ „სახე“ (ნჷ „თვალი“, ფჷ „ცხვირი“), შგლჷ-ჰასტჷ „პურ-მარილი“ (< შგლჷ „მარილი“, ჰასტჷ „ფაფა“), ჩჷშ-მაჷჷ „დღე-ღამე“ (ჩჷშგ „ღამე“, მაჷჷ „დღე“).

ბ. ფუძეშეერთებულ კომპოზიტებზე დართულია უარყოფის აფიქსი: მგსჷნ-მგლგ „ხარახურა“ (ზედმ. „არც ტყავი, არც ხორცი“), მგც-მგჩჷნ „უგუნური ადამიანი“ (ზედმ. „არც ხარი, არც ძროხა“).

გ. საურთიერთო აფიქსით შეერთებული კომპოზიტები: ზნლჷ-ზნსჷგზ/გ/ „ცოლ-ქმარი“ (ზედმ. ქმარი და ცოლი ერთმანეთისთვის“), ზნშჷ-ზნშჷგზ/გ/ „და-ძმა“ (ზედმ. „ძმა და და ერთმანეთისთვის“).

სემანტიკის თვალსაზრისით რთული სიტყვები შეიძლება იყოს როგორც შემდეგი სახის:

ა. სინონიმური:

ბგნჷგნაჷჷ „ოჯახი“ (< ბგნგ „ოჯახი“, ჷგნაჷჷ „ოჯახი“);

ხჷნტ-ბორჷნ „ქარბუქი“ (< ხჷნტ „ქარბუქი“, ბორჷნ „ქარბუქი“);

გზჷჷგ-გჷგაჷ „მწუხარება, უბედურება“ (< გზჷჷგ „მწუხარება“, გჷგაჷ „მწუხარება“);

ზნჷნ-ბანჷნ „შეტაკება, შეხლა“ (< ზაჷნ „ომი“, ბანჷნ „ბრძოლა“);

ნგბჷგლჷ-სჷსჷლჷ „მეგობრობა“ (< ნგბჷგლჷ „მეგობარი“, სჷსჷლჷ „მეგობარი“).

ბ. ანტონიმური:

ჩჷშ-მაჷჷ „დღე-ღამე“ (ჩჷშგ „ღამე“, მაჷჷ „დღე“);

ლ'გლ-კწრზბლალ „ვაჟკაცობა და სიმხდალე“;
ინგლ-წკლ „სიდიდე, ზომა“ (< ინგლ „დიდი“, წკლ „პატარა“);
ზ'გლ-კლალ „ასაკი“ (ზ'გლ „სიბერე“, კლალ „ახალგაზრდობა“).

გ. გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან ახლოს მდგომი კომპონენტები:
ტესკწ-უატზ „ბზე და თივა“;
კაზ-ფსგწათ „ბატი და იხვი“;
წზბლ-სალმწკ „ჭილოფი და ჩანთა“.

შერწყმული კომპოზიტები წარმოქმნება მარტივი ფუძეების შეერთებით: მეზწ-ფშაწწ „ქვა და ქვიშა“, „ქვა ქვიშით“ (< მეზწ „ქვა“, ფშაწწ „ქვიშა“), შწკწ-შწჟწ „ყიდვა-გაყიდვა“, შწნს-პასტწ „სოუსი და პასტა“, „სოუსი ფაფით“ (შწნსე „სოუსი“, პასტწ „ფაფა“).

3. განსაზღვრებითი კომპოზიტები (*composita determinativa*)

ადილური ენის გამდიდრების საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს განსაზღვრებითი კომპოზიტები. ადილური სიტყვათწარმოქმნის სისტემაში ასეთი წარმოება განსაკუთრებით პროდუქტულია და დომინანტი პოზიცია უჭირავს.

განსაზღვრებითი რთული სიტყვები ის ფორმებია, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთის მიმართ არიან მსაზღვრელ საზღვრული, ან საზღვრულ-მსაზღვრელი:

ჭ'გბზუ „ჭრიჭინა“ (ჭ'გ „მიწა“, ბზუ „ჩიტი“, ზედმ. „მიწის ჩიტი“);
უნსწ „დარი“ (< უწ „ცა“, სწ „კარგი“, ზედმ. „კარგი ცა“);
სწზზწკ „კალენდულა“ (< სწზზწწ „ფრჩხილი“, კწ „თესლი“, ზედმ. „თესლი, რომელიც ჰგავს ფრჩხილს“);
უაძ „ავდარი“, „წვიმა“ (< უწ „ცა“, აძ „ცუდი“, ზედმ. „ცუდი ცა“).

განსაზღვრებით კომპოზიტში, როგორც წესი, მთავარი კომპონენტი არის არსებითი სახელი, რომელიც განსაზღვრულია არსებითით, ზედსართავით, რიცხვითი სახელით, ზმნიზედით.

ლიტერატურა

აბრეგოვი 2000 – А. Н. Абрегов, Исследования по лексике и словообразованию адыгейского языка, Майкоп, 2000.

ბუკია 2013 – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2013.

გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I. თბილისი, 2003.

კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия, Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми, 1981.

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი, 2006.

მაჭავარიანი 2017 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები (აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით), თბილისი, 2017.

შაყრილი 1987 – К. С.Шакрыл, В. Х.Конджария, Л. П.Чкадуа, Словарь абхазского языка, т. II, Сухуми, 1987.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

ჯანაშია 2010 – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Тбилиси, 2010.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII, თბილისი, 2020

Ibero-Caucasian Linguistics, XLVIII, Tbilisi, 2020

გვ. 71-80